ნახევარდაცვა გუნდის ხერხემალია

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 14 აგვისტო.

“დინამო” (თბილისი) _ “მოლდოვა” (კიშინიოვი) 5:1 (1:0).

“მოლდოვა”: ერემეევი, ზელენიაევი, ლარინი, მირგოროდსკი, ფალომეევი, ესინი, ცინკლერი, სამსონოვი, კოროტკოვი, აბრამოვი, კოროლკოვი (პარშინი).

“დინამო”: კოტრიკაძე, ჩოხელი, თორაძე, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია (გაგნიძე), კალოევი, ღოღობერიძე, მესხი.

მსაჯი ა. ზიაბლიკოვი (ლენინგრადი).

თბილისის დინამოელებს ამჟამად გათამაშების ცხრილში ისეთი ადგილი უკავიათ, რომ მათთვის უკანდასახევი გზა აღარ არსებობს. ახლა, როცა გუნდი ჩემპიონატის ცხრილში მეორე ადგილზეა, როცა ძალიან ძლიერი, სტაბილური თამაში აჩვენა როგორც საკუთარ, ისე მოწინააღმდეგეთა მინდვრებზე და 5 თამაში ზედიზედ მოიგო დამაჯერებლად, ყოველგვარი შემთხვევითობის გარეშე (10 ქულა 10 შესაძლებლიდან), შეგვიძლია თამამად ვილაპარაკოთ კოლექტივის აღორძინებაზე, მის წარმატებათა კანონზომიერებაზე. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმ ინერციის დაკარგვა, რომელიც ახლა “დინამოს” გააჩნია და ამიტომ ვამბობთ, რომ უკან დახევა ჩვენი ფეხბურთელებისათვის ყოვლად დაუშვებელია.

პერსპექტივაშია ბრძოლა საპრიზო ადგილისათვის, ბრძოლა საბჭოთა კავშირის თასისათვის, ამიტომ დინამოელებმა დარჩენილი მატჩები უნდა ჩაატარონ ისეთივე რწმენით საკუთარ ძალებში, ისეთივე მონდომებითა და ხარისხით, როგორც ამ უკანასკნელ 5 მატჩში.

როცა ლაპარაკია თბილისის “დინამოს” ბოლო წლების წარუმატებლობაზე, პირველ ყოვლისა ბრალი ედება დაცვის ხაზებს, სადაც სისტემატურად ჰქონდა ადგილი სერიოზულ შეცდომებს. ახლა მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა და გუნდს უკვე აქვს მტკიცე, საიმედო ზურგი. მაგრამ განვლილი მატჩის მიხედვით თუ ვილაპარაკებთ, აუცილებელი აღნიშვნის ღირსნი არიან ნახევარმცველები იამანიძე და ზეინკლიშვილი.

ფეხბურთში საყოველთაოდ ცნობილია, რომ გუნდის ხერხემალს წარმოადგენს ნახევარდაცვა. თუ ეს ასეა, ჩვენს გუნდს ახლა გააჩნია ხერხემალი, რომელსაც შესწევს ძალა შეაკავშიროს თავდასხმა და დაცვა, აიღოს თავის თავზე ისეთი ფუნქციები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ თამაშზე.

პირველ ყოვლისა იამანიძე. იგი შევიდა ფორმაში, კარგად შეეგუა ახალ როლს და დიდი სარგებელი მოაქვს თავისი გუნდისათვის. 14 აგვისტოს მატჩი მან ბრწყინვალედ ჩაატარა.

შესანიშნავი იყო ზეინკლიშვილიც. დიდი შრომისუნარიანობისა და ენერგიის გარდა მის თამაშს სულ უფრო ეტყობა მაღალი კვალიფიკაცია, კომბინაციურობა და მიზანსწრაფვა, ხოლო რაც შეეხება გამოცდილებას, ეს დროის საქმეა. მას ზეინკლიშვილი თანდათან შეიძენს.

პირველ ტაიმში ბრძოლას შედარებით თანაბარი ხასიათი ჰქონდა. დინამოელთა ხანგრძლივ იერიშებს წარმატებით იგერიებდა “მოლდოვას” დაცვა,

სადაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა ესინი (მან შეძლო ბარქაიას გამოთიშვა თამაშიდან).

მოლდაველები დიდხანს ინარჩუნებდნენ “მშრალ” ანგარიშს, მაგრამ 34-ე წუთზე თითქმის მთელი მათი დაცვა უძლური აღმოჩნდა იამანიძის წინააღმდეგ, რომელიც შორი მანძილიდან ბურთიანად შეიჭრა მათს საჯარიმო მოედანზე და გაიტანა პირველი გოლი _ 1:0.

მეორე ტაიმის დასაწყისიდან სტუმრების კარს დააწვა დიდი დატვირთვა. რამდენიმე მეტად ძნელი ბურთი აიღო ერემეევმა, მაგრამ მე-12 წუთზე მეკარეს მოუვიდა მარცხი, რომელიც გონებამახვილურად გამოიყენა კალოევმა.; მან ხელებიდან აართვა ერემეევს ბურთი და წყნარი დარტყმით გაგზავნა კარში _ 2:0.

მე-17 წუთზე “მოლდოვას” თავდამსხმელებმა გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია, რომელიც მოულოდნელი დარტყმით დაამთავრა კოროტკოვმა _ 1:2. სტუმრები ერთხანს ცდილობდნენ ამ მომენტიდან გარდატეხა შეექმნათ თამაშში, მაგრამ მათი შეტევა სწრაფად იქნა ლიკვიდირებული და შემდგომში მატჩს ცალ კარში ვარჯიშის ხასიათი ჰქონდა. ღოღობერიძემ, გაგნიძემ და კალოევმა კიდევ თითო ბურთი გაიტანეს და თბილისის “დინამომ” მოიპოვა მორიგი დამსახურებული გამარჯვება ანგარიშით 5:1.

ამავე გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი დამთავრდა ფრედ _ 2:2.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 16 აგვისტო, 1959 წ.

დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან”